

## გრიპი A (H1N1) - განახლება 19

2009 წლის 7 მაისი – გრინვიჩის დროით 06:00 საათისთვის ოცდასამმა ქვეყანამ ოფიციალურად განაცხადა გრიპის A (H1N1) ინფექციის 2099 შემთხვევის შესახებ.

მექსიკა იტყობინება 1112 დადასტურებული შემთხვევის შესახებ, 42 გარდაცვალებით. აშშ-ს მთავრობამ განაცხადა 642 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, ორი გარდაცვალებით.

ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევების შესახებ გარდაცვალების გარეშე აცხადებენ შემდეგი ქვეყნები: ავსტრია (1), კანადა (201), ჩინეთი, ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული ერთეული (1), კოლუმბია (1), კოსტა რიკა (1), დანია (1), სალვადორი (2), საფრანგეთი (5), გერმანია (9), გვატემალა (1), ირლანდია (1), ისრაელი (4), იტალია (5), ჰოლანდია (1), ახალი ზელანდია (5), პორტუგალია (1), კორეის რესპუბლიკა (2), ესპანეთი (73), შვეიცარია (1) და გაერთიანებული სამეფო (28).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია არ თვლის მიზანშეწონილად შეზღუდვის დაწესებას რეგულარულ მგზავრობებზე ან საზღვრების ჩაკეტვას გრიპის ახალი A(H1N1) ვირუსით გამოწვეული აფეთქების გამო.

დაავადებული ადამიანებისთვის მიზანშეწონილია საერთაშორისო მგზავრობების გადადება, ხოლო მათ, ვისაც მოგზაურობის შემდეგ გამოუვლინდებათ დაავადება უნდა მიიღონ სათანადო სამედიცინო მომსახურება. ესაა გონივრული ღონისძიება, რომელიც შეზღუდავს მრავალი გადამდები დაავადების გავრცელებას, გრიპის ჩათვლით.

ინფორმაცია სიტუაციის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ჯანმოს ვებ გვერდზე რეგულარულად.